

შპს აი თი ემ სი (ს/კ 406315893)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	1
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2

1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	12
4. ამონაგები რეალიზაციიდან	12
5. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯები	13
6. მიწოდების ხარჯები	13
7. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13
8. ძირითადი საშუალებები	14
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
11. სესხები	15
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	4	13,746,697	12,153,327
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(11,645,482)	(9,857,220)
საერთო მოგება		2,101,215	2,296,107
სხვა შემოსავლები		81,743	41,815
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,300,513)	(1,189,108)
მიწოდების ხარჯები	6	(2,592)	(3,253)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	7	(55,790)	(84,986)
სხვა ხარჯები		(55,753)	(187,979)
საოპერაციო მოგება/ზარალი		768,310	872,596
ფინანსური შემოსავალი		28,627	81,051
ფინანსური ხარჯი		(85,054)	(71,435)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(56,426)	9,616
მოგება დაბეგვრამდე		711,884	882,212
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		711,884	882,212
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		711,884	882,212

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 17 სექტემბერს:



 ნათია გლობალიშვილი

 დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები	შენიშვნა			
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	218,055	314,212	400,922
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		218,055	314,212	400,922
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	4,011,111	2,126,477	1,564,062
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	366,353	159,757	103,111
სულ მიმდინარე აქტივები		4,377,464	2,286,234	1,667,172
სულ აქტივები		4,595,519	2,600,446	2,068,095
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		9,941	9,941	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,507,346	1,318,447	552,863
სულ კაპიტალი		1,517,287	1,328,388	552,863
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	-	-	-
ანარიცხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	789,005	278,261	477,110
მოკლევადიანი სესხები		2,289,227	949,250	1,038,122
საგადასახადო ვალდებულებები		-	44,547	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,078,232	1,272,058	1,515,232
სულ ვალდებულებები		3,078,232	1,272,058	1,515,232
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,595,519	2,600,446	2,068,095

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 17 სექტემბერს:

ნათია გონალიშვილი
დირექტორი



შპს აი თი ემ სი
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	9,941	1,318,447	1,328,388
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის წმინდა მოგება/ზარალი	-	711,884	711,884
გაცემული დივიდენდი	-	(522,985)	(522,985)
საწესდებო კაპიტალის ზრდა /შემცირება	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	9,941	1,507,346	1,517,287
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	552,863	552,863
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის წმინდა მოგება/ზარალი	-	882,212	882,212
გაცემული დივიდენდი	-	(116,628)	(116,628)
საწესდებო კაპიტალის ზრდა /შემცირება	9,941	-	9,941
2022 წლის 31 დეკემბერი	9,941	1,318,447	1,328,388

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 17
სექტემბერს:


ნათია გოგალიშვილი
დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	14,226,926	11,981,174
როიალტი, ჰონორარი, საკომისიო და სხვა შემოსავლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(12,351,040)	(9,596,078)
გადახდილი ხელფასები	(778,396)	(660,996)
გადახდილი გადასახადები	(240,034)	(183,381)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	857,456	1,540,719
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(10,124)	(396,275)
სხვა საწარმოს წილის შეძენა	-	-
გაცემული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	680,039	26,596
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	186,363	275,888
სხვა საწარმოს წილის რეალიზაცია	-	-
გაცემული სესხი	(2,160,422)	(1,194,156)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,304,145)	(1,287,947)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	9,941
სესხების მიღება	5,702,258	3,976,009
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სესხების დაფარვა	(4,407,966)	(3,914,912)
გადახდილი პროცენტი	(85,053)	(71,435)
გადახდილი დივიდენდი	(522,985)	(116,628)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	686,254	(117,025)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	239,565	135,746
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(32,969)	(79,100)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	159,757	103,111
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	366,353	159,757

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 17 სექტემბერს:

ნათია გოზალიშვილი
დირექტორი



1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “აი თი ემ სი” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2020 წლის 28 ოქტომბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, სს „აი თი ემ სი“ ს/კ: 406315385 წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის გადაზიდვის მომსახურება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, ქეთევან ქამბულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა #50/18, სართული 2, ბინა 78ა, „გ“ ბლოკი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას."

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროს სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2023, 2022 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

შემოსავლის აღიარება

საწარმო აღიარებს ამონაგებს, როდესაც (ან როგორც კი) შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები:

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გამამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს,

იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა გასვლისას მიღებულ თანხებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, როგორც „სხვა შემოსავალი“ ან „სხვა ხარჯი“.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად. ლიზინგის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებით დაქირავებული აქვს აქტივი ნებისმიერი სამომავლო პირობებით, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს აქვს არჩევანი, განაგრძოს აქტივის ქირავნობა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც ლიზინგის დაწყებისას გონივრულად დაკონკრეტებულია, რომ ლიზინგის მიმღები გამოიყენებს ამ არჩევანს.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწვევითანავე, თუ მისგან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი შემოსავლის მიღება, ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან სცდება შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და მოცემულ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარიცხს.

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტილად ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

4. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
მომსახურების გაწევა	11,337,098	12,153,327
საქონლის გაყიდვა	2,409,599	-
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	13,746,697	12,153,327

5. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	(978,721)	(836,192)
მივლინების ხარჯები	(36,723)	(17,090)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(72,688)	(94,731)
იჯარის ხარჯი	(72,905)	(75,905)
ოფისის ხარჯი	(4,567)	(5,551)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,604)	(4,909)
დაზღვევის ხარჯი	(16,414)	(16,381)
რემონტი	(16,315)	(28,699)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(29,954)	(82,853)
სხვა ხარჯი	(69,622)	(26,798)
სულ ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯები	(1,300,513)	(1,189,108)

6. მიწოდების ხარჯები

	2023	2022
რეკლამის ხარჯი	(2,592)	(3,253)
სულ მიწოდების ხარჯები	(2,592)	(3,253)

7. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(55,790)	(84,986)
სულ სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(55,790)	(84,986)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღრებულებების ცვლილებები ნაჩვენებია ცხრილში:

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	46,402	307,901	354,303
ზრდა	11,901	154,392	166,293
კლება	-	(266,711)	(266,711)
31 დეკემბერი 2023	58,303	195,583	253,885
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2022	(9,318)	(30,773)	(40,092)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(10,792)	(19,162)	(29,954)
გასვლა	-	34,215	34,215
31 დეკემბერი 2023	(20,110)	(15,720)	(35,830)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	37,083	277,128	314,212
31 დეკემბერი 2023	38,193	179,863	218,055

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	17,655	402,542	420,197
ზრდა	28,747	356,795	385,542
კლება	-	(451,436)	(451,436)
31 დეკემბერი 2022	46,402	307,901	354,303
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	(1,387)	(17,887)	(19,275)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(7,931)	(74,922)	(82,853)
გასვლა	-	62,036	62,036
31 დეკემბერი 2022	(9,318)	(30,773)	(40,092)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	16,267	384,655	400,922
31 დეკემბერი 2022	37,083	277,128	314,212

შპს აი თი ემ სი
 ფინანსური ანგარიშგების დართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	501,127	188,996
გადახდილი ავანსები	93,492	94,276
გაცემული სესხი	3,216,087	1,696,678
მისაღები პროცენტები	108,565	80,162
საგადასახადო აქტივი	29,623	-
სხვა მოთხოვნები	62,218	66,364
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,011,111	2,126,477

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	128,108	20,703
უცხოური ვალუტა ბანკში	238,245	139,054
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	366,353	159,757

11. სესხები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,857,849	890,396
სხვა სესხები	431,378	58,854
სულ მოკლევადიანი სესხები	2,289,227	949,250
სულ სესხები	2,289,227	949,250

ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულია ყველა სახსრები, საშუალო საპროცენტო ხარჯი შეადგენს 9%-ს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	427,355	139,272
გადახდილი ავანსები	336,847	120,310
გადასახდელი ხელფასები	24,803	18,679
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	789,005	278,261

შპს აი თი ემ სი
ფინანსური ანგარიშგების დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2023	2022
სულ შრომის ანაზღაურება	409859,35	439,815

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 სექტემბერს.

